4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტა

4.2 გამქირავლებლებს შეუძლიათ მათი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე ვადამდე მოშალონ ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

4.2.1 თუ დამქირავებელი უხეშად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

4.2.2 თუ დამქირავებელი არაერთგზის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შესახებაც იგი უკვე იყო გაფრთხილებული წერილობით.

4.2.3 თუ დამქირავებელი განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს ,,იჯარის ობიექტის" მდგომარეობას, რითაც ზიანი ადგებათ გამქირავლებლებს.

4.2.4 შეატყობინებს რა ხელშეკრულების მოშლის შესახებ დამქირავებელს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

4.3 დამქირავებელს შეუძლია, მისი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

4.3.1 გამქირავებლები უხეშად არღვევენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

4.3.2 თუ გამქირავებლები არაერთგზის არღვევენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შესახებაც ისინი გაფრთხილებული იყვნენ წერილობით.

4.3.3 თუ გამქირავებლების ბრალეული ქმედებით ეზღუდება დამქირავებელს ,,იჯარის ობიექტით" სარგებლობის უფლება.

4.4 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმების შედეგად.

4.5 ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, დამქირავებელი ვალდებულია გადაიხადოს ამ დღისთვის არსებული ყველა გადასახადი და საიჯარო ქირა, იგი ასევე ვალდებულია დაცალოს, გაათავისუფლოს საიჯარო ობიექტი, რის შედეგაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა გაფორმდეს ,,იჯარის ობიექტის" მიღება-ჩაბარების აქტი.

4.6 იმ შემთხვევაში, თუ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დამქირავებელი 5 კალენდარული დღის ვადაში არ დაცლის ,,იჯარის ობიექტს" და არ ჩააბარებს მას გამქირავლებლებს, დამქირავებელს დაეკისრება ვალდებულება გადაიხადოს გაორმაგებული საიჯარო ქირა იჯარის ობიექტის ფაქტობრივად ფლობის მთელ პერიოდზე. ამასთან გამქირავლებლები უფლებამოსილნი არიან აღიდგინონ მფლობელობა ,,იჯარის ობიექტზე", დამქირავლების გაფრთხილებიდან 10 (ათი) დღის ვადაში დაცალოს ობიექტი დამქირავებლის კუთვნილი ნივთებისაგან.

4.7 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დამქირავებლის მიერ იჯარის ობიექტით სარგებლობა ფაქტობრივად გაგრძელდება, რისი წინააღმდეგიც არ არიან გამქირავლებლები, ხელშეკრულება ყოველ ასეთ ჯერზე გაგრძელებულად ჩაითვლება ერთი თვის ვადით, იმავე პირობებით.

2013 წლის 17 მაისს განმცხადებლის მარინა ცხვარაძის (პ/ნ 01030022537) განცხადების საფუძველზე გამოვცხადდი მის მიერ მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, აფრიკის დასახლება. ადგილზე მისვლისას დამხვდა პიროვნება, რომელმაც მითხრა, რომ მისი სახელი და გვარია ვლადიმერ ჭიტაძე და მითხრა, რომ აღნიშნული მისამართია ქ.თბილისი, აფრიკის დასახლება 360-ე კმ. განმცხადებელმა წარმომიდგინა პირადობის მოწმობა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, აგრეთვე წარმომიდგინა საცხოვრებელი ბინის აზომვითი ნახაზი. ფაქტის კონსტატაციის დაწყებამდე განმცხადებელმა გამოიძახა პატრული. პატრულის თანამშრომლებს არ წარმოუდგენიათ პირადობის მოწმომობები და ზეპირად წარმოადგინეს თავიანთი ვინაობა: ნიკოლოზ მანაგაძე (პ/ნ 60003002786) და გოჩა ბერაძე.

მარინა ცხვარაძის პირადობის მოწმოზა

1



2



განმცხადებელმა მიმიყვანა სახლთან, რომლის ჭიშკარიც გააღო პიროვნებამ, რომელმაც განაცხადა, რომ მისი სახელი და გვარია რამაზ ქათამაძე და ჩვენ ვიმყოფებოდით მისამართზე: აფრიკის დასახლება, 360-ე კმ.

3



4




5




5[1]




განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი



მარინა ცხვარაძის მიერ წარმოდგენილი საცხოვრებელი ბინის აზომვითი ნახაზი





ოქმს თან ერთვის CD, რომელზეც ჩაწერილია 648 MB მოცულობის ერთი ვიდეო ფაილი. კომპაქტ დისკი წარმოადგენს ოქმის ნაწილს.

ოქმის დასასრული




00-281-LL

















ორთოფოტო



1:1,000

3485 კვ.მ.